ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 3

2011 წლის 28 იანვარი

ქ. ვანი

ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 18[1] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 ოქტომბრის №603 ბრძანებულების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნეს:

ა) შესაბამისი დასახლების მაკრომდებარეობის ინდექსი – **Img**

ბ) ლოკალური ტერიტორიული ინდექსი – **Iтл**

გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1კვ.მ-ზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი – **C**

დ) მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი – **K**

მუხლი 2

ლოკალური ტერიტორიული ინდექსის სიდიდე ქ. ვანის ტერიტორიაზე განისაზღვროს 1,0-ით.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 მაისის დადგენილება №11 – ვებგვერდი, 11.05.2011წ.

მუხლი 3

მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი ქ. ვანის ტერიტორიაზე განისაზღვროს 100-ით: **K=100**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 მაისის დადგენილება №11 – ვებგვერდი, 11.05.2011წ.

მუხლი 4

1. მიწის ნორმატიული ფასი 1 კვმ მიწის ფართობისათვის ქ. ვანის ტერიტორიაზე განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

Cn=Img x Iтл x C x K სადაც:

ა) **Img** – ვანის მუნიციპალიტეტისათვის შეადგენს – 0,37-ს;

ბ) **Iтл –** ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით შეადგენს – 1,0-ს;

გ) **C** – საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია – 0,24 ლარით;

დ) **K** – ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღრულია – 100-ით;

ე) **Cn=0,37 x 1 x 0,24 x 100=8,88 (ლარი).**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 მაისის დადგენილება №11 – ვებგვერდი, 11.05.2011წ.

მუხლი 5

დადგენილების მეოთხე მუხლის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 1 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი განისაზღვროს:

ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე – 8,88 ლარით;

ბ) ვანის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე – 3,00 ლარით;

გ) ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მ-ის რადიუსში – 5,00 ლარით;

დ) დასახლებათა შორის არეალებში – 2,50 ლარით.

მუხლი 6

კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გია ოჩხიკიძემ.

მუხლი 7

1. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. კაკაბაძე

შეტანილი ცვლილებები:

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 მაისის დადგენილება №11 – ვებგვერდი, 11.05.2011წ.